სტუდენტების რეგისტრაცია!

პროექტი „წიგნების თარო“ იწყებს აკრედიტებული უმაღლესი სასწავლებლების გუნდების რეგისტრაციას სატელევიზიო თამაშის ზაფხულის სეზონში მონაწილეობის მისაღებად:

პროექტში მონაწილეობის მსურველმა უმაღლესმა სასწავლებლებმა უნდა გაიარონ ორი ეტაპი: 1. უმაღლესი სასწავლებლის უფლებამოსილმა წარმომადგენელმა (ლექტორი, რექტორი, დეკანი) უნდა დაარეგისტრიროს სამი სტუდენტისგან შემდგარი გუნდი გადაცემის ფეისბუქის გვერდზე ან პირველი არხის ვებ გვერდზე არსებული აპლიკაციის მეშვეობით; 2. დარეგისტრირებული უმაღლესი სასწავლებლებიდან გადაცემაში მონაწილე 6 გუნდს შეარჩევს გადაცემის შემოქმედებითი ჯგუფი პირადი გასაუბრების საფუძველზე. გასაუბრება დაინიშნება რეგისტრაციის დასრულების შემდეგ; დასაშვებია გასაუბრება ონლაინ რეჟიმში. (გადაცემის შემოქმედებითი ჯგუფი იტოვებს უფლებას 50 განაცხადის მიღების შემდეგ შეწყვიტოს უმაღლესი სასწავლებლების რეგისტრაცია)

თითოეულ აკრედიტებულ უმაღლეს სასწავლებელს აქვს მხოლოდ ორი გუნდის რეგისტრაციის უფლება. გუნდის წევრი უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ კრიტერიუმებს: 1. იყოს ბაკალავრიატის სტუდენტი 2. იყოს წარმდგენი უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტი. (გადაცემის შემოქმედებითი ჯგუფი გირჩევთ გუნდის დაკომპლექტებისას გაითვალისწინოთ მხატვრული ლიტერატურის ცოდნა და არა მაღალი აკადემიური მოსწრება.)

რეგისტრაცია გრძელდება 30 მაისამდე.

აპლიკაციის მისამართი: https://goo.gl/L0BrVb

პროექტის შესახებ:

„წიგნების თარო“ ახალგაზრდული შემეცნებითი ტელეთამაშია, რომლის თემატიკას ლიტერატურა წარმოადგენს და შესაბამისად, გამარჯვებისთვის მთავარი წიგნიერებაა. თითოეულ თამაშში მონაწილეობს ორი გუნდი, რომლებიც დაკომპლექტებულია სამ-სამი მონაწილით. თამაში 7 რაუნდისგან შედგება, რომელთაგან ერთი გულშემატკივრების რაუნდია, ყველაფერი კი ბლიც-ტურით სრულდება. თამაშში ასევე მონაწილეობს მოწვეული სტუმარიც, საზოგადოებისთვის ცნობილი ადამიანი, რომელიც რიგ შემთხვევებში მოთამაშეების დახმარებას ცდილობს. „წიგნების თარო“ ოლიმპიური პრინციპით ერთი ცალკეული ჩემპიონატის განმავლობაში მიმდინარეობს.

პირველი არხი პროექტის მონაწილეებს უამრავ საჩუქარს და სხვადასხვა სიურპრიზს უმზადებს, გამარჯვებულ გუნდს კი დაუვიწყარი საჩუქარი ელოდება!

პროექტთან დაკავშირებით დამატებითი ინფორმაციისთვის დაგვიკავშირდით: 568 91 19 00.

მოსწავლეების რეგისტრაცია!

პროექტი „წიგნების თარო“ იწყებს სკოლების რეგისტრაციას სატელევიზიო თამაშის მეორე სეზონში მონაწილეობის მისაღებად:

პროექტში მონაწილეობის მსურველმა სკოლებმა უნდა გაიარონ ორი ეტაპი: 1. სკოლის უფლებამოსილმა წარმომადგენელმა (დირექტორი, მასწავლებელი) უნდა დაარეგისტრიროს სამი მოსწავლისგან შემდგარი გუნდი გადაცემის ფეისბუქის გვერდზე ან პირველი არხის ვებ გვერდზე არსებული აპლიკაციის მეშვეობით; 2. დარეგისტრირებული სკოლებიდან გადაცემაში მონაწილე 32 გუნდს შეარჩევს გადაცემის შემოქმედებითი ჯგუფი პირადი გასაუბრების საფუძველზე. გასაუბრება დაინიშნება რეგისტრაციის დასრულების შემდეგ; დასაშვებია გასაუბრება ონლაინ რეჟიმში. (გადაცემის შემოქმედებითი ჯგუფი იტოვებს უფლებას 150 განაცხადის მიღების შემდეგ შეწყვიტოს სკოლების რეგისტრაცია)

სკოლას აქვს მხოლოდ ერთი გუნდის რეგისტრაციის უფლება.

გუნდის წევრი უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ კრიტერიუმებს: 1. იყოს 15-16 წლის. 2. იყოს წარმდგენი სკოლის მოსწავლე. (გადაცემის შემოქმედებითი ჯგუფი გირჩევთ გუნდის დაკომპლექტებისას გაითვალისწინოთ მხატვრული ლიტერატურის ცოდნა და არა მაღალი აკადემიური მოსწრება.) 3. არ უნდა იყოს „წიგნების თაროს“ წინა სეზონის გამარჯვებული.

რეგისტრაცია გრძელდება 3 ივნისამდე.

აპლიკაციის მისამართი: https://goo.gl/6DPQlW

პროექტის შესახებ:

„წიგნების თარო“ ახალგაზრდული შემეცნებითი ტელეთამაშია, რომლის თემატიკას მხატვრული ლიტერატურა წარმოადგენს და შესაბამისად, გამარჯვებისთვის მთავარი წიგნიერებაა. თითოეულ თამაშში მონაწილეობს ორი სკოლის გუნდი, რომლებიც დაკომპლექტებულია სამ-სამი მონაწილით. მონაწილეობა შეუძლიათ 15-16 წლის მოსწავლეებს. თამაში 7 რაუნდისგან შედგება, რომელთაგან ერთი გულშემატკივრების რაუნდია, ყველაფერი კი ბლიც-ტურით სრულდება. თამაშში ასევე მონაწილეობს მოწვეული სტუმარიც, საზოგადოებისთვის ცნობილი ადამიანი, რომელიც რიგ შემთხვევებში მოთამაშეების დახმარებას ცდილობს. „წიგნების თარო“ ოლიმპიური პრინციპით ერთი სატელევიზიო სეზონის განმავლობაში მიმდინარეობს.

პირველი არხი პროექტის მონაწილეებს სხვადასხვა საჩუქარს გადასცემს, ფინალისტები გამორჩეულად დასაჩუქრდებიან, გამარჯვებული გუნდის სამივე მონაწილე კი - 2 კვირით დიდი ბრიტანეთის საზაფხულო სკოლაში გაემგზავრება!

პროექტთან დაკავშირებით დამატებითი ინფორმაციისთვის დაგვიკავშირდით: 568 91 19 00.